ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №42

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია: 06 ოქტომბერი 2014 წ.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომ – "ხელშეკრულება") – "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების" საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებითი და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში – "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვებს.

1.3 "მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

1.4 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, თვეს, კვირას თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები:

წინამდებარე ხელშეკრულება დადებული:

ერთის მხრივ: **დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურულ – საგანმანათლებლო ცენტრი, რომლის რეკვიზიტებია: ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. №27, ს/კ 229325094, მომსახურე ბანკი - „ლიბერთი ბანკის" დუშეთის ფილიალი, ბ/კ LBRTGE22, ა/ა GE33LBO120143308435000** – (შემდგომში "შემსყიდველი")

(შემსყიდველის დასახელება და რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ: **შ.პ.ს „სტ ოილი", რომლის რეკვიზიტებია: ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. N1, ს/კ 205169538, მომსახურე ბანკი – სს „ლიბერთი ბანკის" მცხეთის ფილილი, ბ/კ LBRTGE22, ა/ა GE76LB0113171202103000** – (შემდგომში „მიმწოდებელი")

(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)

3. ხელშეკრულების საგანი.

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: საწვავი, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. კლასიფიკატორის კოდი - 09100000

4. ხელშეკრულების ღირებულება.

4.1 გასაწევი მომსახურების ღირებულება შეადგენს: 205 (ორას ხუთი) ლარი. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

ა) გასაწევი მომსახურების ერთეულის ფასი შეადგენს: 2 (ორი და 05 თეთრი) ლარი.

ბ) მომსახურება გაწეული იქნება შემდეგ მისამართზე: .

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი.

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების პირობების დაცვით განახორციელოს მომსახურების მიწოდება. იგი პასუხისმგებელია გასაწევი მომსახურების ხარისხსა და ვარგისიანობაზე,

5.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას მიწოდებული მომსახურების ღირებულება.

5.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5.4 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

5.5 მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსიყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი.

6.1 მომსახურება გაწეულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება – ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

7.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს.

8. მიწოდებული მომსახურების ხარისხი და გარანტია.

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი (გაწეული მომსახურება) არ იქნება დაზიანებული (არ გამოავლენს ხარვეზებს) და იქნება მოხმარებისათვის ვარგისი,წინაადმდეგშემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს დაზიანებული და უვარგისი საქონლის შეცვლა (გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება).

9. ანგარიშსწორება.

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო (ნაღდი). გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

10. ფასები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მეოთხე პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

10.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა, ხელშეკრულების მთელი მოქმედების განმავლობაში, დასაშვებია საცალო ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

10.3 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა.

11.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებული მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.